პროექტის შემფასებელი - კონკურსი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) აცხადებს კონკურს პროექტის შემფასებლის შესარჩევად:

1. **პროექტის შესახებ**

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მისი სახელწოდებაა *„კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით მიგრაციის მართვის განვითარება საქართველოში„*. პროექტი ხორციელდებოდა 2016 წლის 7 ივლისიდან 2017 წლის 7 ივლისის ჩათვლით.

1. **შემფასებლის დავალება (სამუშაოს მოცულობა)**

შემფასებლის სამუშაო მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

- დაახლოებით 25 ინტერვიუ (პირისპირ ან ტექნიკური საშუალებებით);

- სამაგიდე კვლევა (პროექტის მიერ შემუშავებული მასალის ანალიზი - დაახლოებით 10 კვლევის ანგარიში და სხვა დოკუმენტაცია).

1. **ვადები**

შეფასებასთან დაკავშირებული სამუშაოები (ინტერვიუ, სამაგიდე კვლევა) უნდა დასრულდეს 1 ნოემბრამდე, ხოლო შეფასების საბოლოო ანგარიშის ჩაბარების უკანასკნელი ვადაა 10 ნოემბერი. ვადის გადაცილება აისახება ჰონორარის ოდენობაზე.

1. **ანგარიშის ტექნიკური მონაცემები**

ანგარიში უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ მოთხოვნებს:

- ინგლისურად დაწერილი;

- მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 20 გვერდის მოცულობის;

- ფორმატი - A4, ფონტი - Arial 12, ნორმალური საზღვრებით, ხაზებს შორის დაშორება - 1.

1. **ანგარიშის სარჩევი**

შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

- სარჩევი;

- პროექტის შინაარსის მოკლე აღწერა;

- შეფასების მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა;

- რესპოდენტების შესახებ მოკლე ინფორმაცია;

- პროექტის მიღწევების აღწერა;

- პროექტის გამოწვევების აღწერა და რეკომენდაციები მათი გადალახვისთვის;

- რეკომენდაციები პროექტის მდგრადობის უზრუნველსაყოფად;

- მოკლე შეჯამება.

1. **შერჩევის კრიტერიუმი**

კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმს:

- კვლევითი მეთოდების ცოდნა და მათი გამოყენების მინინუმ 2-წლიანი გამოცდილება;

- ინგლისური და ქართული ენების სრულყოფილი ცოდნა;

- მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა.

საია უპირატესობას მიანიჭებს კანდიდატებს შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- საერთო ცოდნა საიას საქმიანობის შესახებ;

- მსგავს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება;

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების შეფასების გამოცდილება.

1. **წარსადგენი დოკუმენტაცია**

პროექტის შემფასებლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მონაწილეებმა უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- დეტალური CV;

- წარსულში შესრულებული მინიმუმ ერთი ანგარიშის მაგალითი;

- მოკლე (მაქსიმუმ ერთგვერდიანი) სამოტივაციო წერილი);

- კვლევის მეთოდოლოგიის დაახლოებით 2-გვერდიანი აღწერა.

საბუთები მიიღება ელექტრონული ფორმით, შემდეგი ელ. ფოსტის მეშვეობით: macharashvili@gyla.ge, 2017 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით.